სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

25 აგვისტო, 2025 წელი

ბრძანება №01-02/160

2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის **(ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის) ვადების განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის N06-01/129 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების", ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №06-01/70 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **2025-2026** სასწავლო წლის **შემოდგომის სემესტრისათვის** განისაზღვროს ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა **ადმინისტრაციული რეგისტრაციის** (სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის) **შემდეგი ვადები:**

ა) I ეტაპზე - 2025 წლის 8 სექტემბრიდან **6 ოქტომბრის ჩათვლით** - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **40%** (შენიშვნა: პირადი განცხადების საფუძველზე **სტატუსშეჩერებული** სტუდენტის სასწავლო პროცესში დაბრუნების შესახებ განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნეს და **სწავლის საფასური გადახდილი,** 2025 წლის 22 სექტემბრიდან (სემესტრის დაწყება) 15 დღის ვადაში - 2025 წლის 06 ოქტომბრის ჩათვლით);
ბ) II ეტაპზე – 2025 წლის **14 ნოემბრის ჩათვლით** - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%;**
გ) III ეტაპზე – 2025 წლის **25 დეკემბრის ჩათვლით** - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ **30%.**

2. ბსუ-ს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირებმა (შემდეგში - **პირველსემესტრელებმა) უნდა გადაიხადონ:**

2.1.**პირველი საფეხურის**/სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიან/დაწყებითი განათლების მასწავლებლის საბაკალავრო-სამაგისტრო/მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტი)/სპეციალური მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტი)/ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე **სამაგისტრო** პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირებმა **რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში,** ბსუ-სთან ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა გადაიხადონ:

ა) I ეტაპზე - **არანაკლებ 800** ლარი;

ბ) II ეტაპზე (2025 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით) **და III ეტაპზე** (2025 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით) - სემესტრული სწავლის საფასურის **დარჩენილი** (გადაუხდელი) **ნაწილი, თანაბარწილად;**

2.2. **სადოქტორო პროგრამებზე** ჩარიცხვის უფლებამოპოვებულმა პირებმა რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში, ბსუ-სთან ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა გადაიხადონ:

ა) I ეტაპზე - ბსუ-ში ჩარიცხვისათვის რეგისტრაციის და ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე - **არანაკლებ 1000** ლარი;

ბ) II ეტაპზე (2025 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით) **და III ეტაპზე** (2025 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით) - სემესტრული სწავლის საფასურის **დარჩენილი** (გადაუხდელი) **ნაწილი, თანაბარწილად.**

3. წინამდებარე ბრძანება ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს, ბსუ-ს პორტალის მეშვეობით.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში: ,,აკადემიური კალენდარი" და ,,რექტორის აქტები"), ასევე ბსუ-ს პორტალზე და ბსუ-ს სოციალურ ქსელში.
5. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს (მათ შორის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს), სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და ფაკულტეტებს.
6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
7. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**